ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182332769**
თარიღი: **21/08/2018**
პინი: **2336**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: სალომე ქერაშვილი
პირადი ნომერი: 01024043887
მისამართი: თბილისი ს.ზაქარიაძის ქ. N 3 ბ. 33

ადრესატი: შპს ლუქსი - 2004
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202230102
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ.,№53

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2018 წლის 10 აგვისტოს #10/01182221610-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (2018 წლის 10 აგვისტოს მინდობილობა; ტოპო. გეგმა; სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის #3731691 ბრძანება;), რომლითაც ითხოვთ თქვენს კუთვნილ საპროექტო ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელი, ს.კ.: 81.02.99.511) არსებული მწვანე ნარგავების არსებული სახით შენარჩუნებას.

გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ 2017 წლის 22 მაისამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 ოქტომბრის #2245102 ბრძანების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე (ს.კ.: 81.02.99.511), დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, სამსახური თანახმაა პროექტით წარმოდგენილი შენობის განთავსების ადგილიდან 4 ძირი ყირიმის ფიჭვი შენარჩუნდეს არსებული მანძილით (კერძოდ, 100სმ;104სმ;105სმ;124სმ;)

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7